სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

99 კახეთის გზატკეცილი
0198 თბილისი, საქართველო
116 001
ncdc@ncdc.ge

18 ივნისი 2024

NCDC 9 24 00657841

ქალბატონ ანა აბაშიძეს

ქალბატონო ანა,

ცენტრში მიმდინარე წლის 8 ივნისს შემოსული თქვენი წერილის პასუხად, რომელიც შეეხებოდა თამბაქოსათვის თავის დანებების ცხელი ხაზის შესახებ ინფორმაციას, გაცნობებთ, რომ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილებების საფუძველზე, ცენტრი ყოველწლიურად ახორციელებს "ჯანმრთელობის ხელშეწყობის" სახელმწიფო პროგრამას, რომლის ერთერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია „თამბაქოს მოხმარების კონტროლის გაძლიერება". აღნიშნული კომპონენტის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება თამბაქოს საკითხებზე, თამბაქოს კანონმდებლობის აღსრულების ხელშეწყობა და თამბაქოს მოხმარების შეწყვეტისთვის დახმარების გაუმჯობესება.

კომპონენტის ფარგლებში ფუნქციონირებს თამბაქოსათვის თავის დანებების ცხელი ხაზი 116 001, რომელიც ხელმისაწვდომია ყოველ დღე, შაბათ-კვირის ჩათვლით 10:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე. სერვისი მოიცავს თამბაქოსათვის თავის დანებების ფსიქოლოგიურ კონსულტაციებს, კონსულტაციებს მედიკამენტოზური მკურნალობის სერვისებისა და აგრეთვე, საკანონმდებლო რეგულაციების შესახებ.

2018 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 30 აპრილის ჩათვლით ცხელ ხაზზე განხორციელდა 21 146 კონსულტაცია.

ცხელ ხაზზე განხორციელებული კონსულტაციების რაოდენობა წლების მიხედვით						
2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
3001	4064	2875	2184	3372	4410	1240

თამბაქოსათვის თავის დანებების გაუმჯობესების მიზნით სერვისის ფარგლებში 2022 წლის მაისიდან დაინერგა კონსულტაციის შემდგომი მონიტორინგი. კონსულტაციის შემდგომი მონიტორინგი ხორციელდება იმ რესპონდენტებთან, რომლებსაც სურთ მოწევისათვის თავის დანებება და თანახმა არიან კონსულტაციის შემდგომ უკუკავშირზე. 2022 წლის მაისიდან 2024 წლის აპრილის ჩათვლით სულ უკუკავშირისთვის ზარის განხორციელება შესთავაზეს 436 ბენეფიციარს, 361-მა რესპონდენტმა განაცხადა თანხმობა, აქედან 289 პირთან მოხერხდა დაკავშირება. 289 ბენეფიციარიდან ზარის განხორციელების მომენტში მოწევისათვის თავის დანებება დააფიქსირა 52-მა ბენეფიციარმა, 106-მა აღნიშნა, რომ შეამცირა მოწეული ღერების რაოდენობა, 31 პირი თავად დაუკავშირდა ცხელი ხაზს მადლობის ნიშნად და განაცხადა, რომ თავი დაანება მოწევას.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

იურიდიული სამმართველოს უფროსი
ლალი ეზანოიძე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად